ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3678318

ნომერი: AR1555386

თარიღი : 07.11.2017

გაცემის თარიღი : 13.11.2017

გაცნობის თარიღი : 13.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ლომსაძე პ/ნ 01019015694
- თბილისი სვანეთის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1416415. ვადის გაგრძელება: ბრძანება#:1391; 18.10.2016
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.07.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 07 ნოემბრის AR1555386 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. განხორციელებული მშენებლობით მშენებარე ფართის მესაკუთრეების ფართების ცვლილების შემთხვევაში, საჭიროა წარმოადგინოთ მათი თანხმობა.
2. განხორციელებული მშენებლობით იპოთეკადადებული ობიექტის ფართის ცვლილების შემთხვევაში, წარმოადგინეთ იპოთეკარის თანხმობა.
3. თუ განხორციელებული მშენებლობით შეიცვალა მომავალი მესაკუთრის, მყიდველის, გამყიდველის ან უზუფრუქტარის ფართი მაშინ საჭირო იქნება მათი თანხმობის წარმოდგენა.
4. იმისათვის, რომ სამსახურმა დაადასტუროს განხორციელებული მშენებლობა საჭიროა ღიობებში ჩაისვას კარ-ფანჯრები; მოეწყოს პანდუსი (გათვალისწინებულ იქნას შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოხმარებისათვის განკუთვნილი პანდუსების მოთხოვნებთან დაკავშირებით იხელმძღვანელეთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება N41 „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტით“); აივნები მოიყვანეთ პროექტთან შესაბამისობაში (შემინვის კუთხით); კეთილმოწყობა დასრულდეს და დაცულ იქნას შეთანხმებული პროექტის შესაბამისი კ3 კოეფიციენტი; საპროექტო ღობე მოიყვანეთ საკადასტრო საზღვართან შესაბამისობაში;ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის აქტში შეიტანეთ ცვლილება და წარმოადგინეთ;

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.